



საქართველო

მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია

GEORGIA

MARNEULI MUNICIPALITY CITY HALL



ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ.მარნეული

N 4334
08/10/2020

4334-03-4-202010081727



<https://edocument.ge/KvemoKartli/public/#/>

მარნეულის მუნიციპალიტეტის 2021-2024 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.ე“ პუნქტის, 61-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ პუნქტის საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“ № 385 ბრძანების შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

- 1.დამტკიცდეს მარნეულის მუნიციპალიტეტის 2021-2024 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა თანდართული დოკუმენტის შესაბამისად.
- 2.პრიორიტეტების დოკუმენტის და ბიუჯეტის პროექტის განხილვის პროცესში საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების შინაარსის ან/და დაფინანსების მოცულობის მნიშვნელოვანი ცვლილების, მათ შორის, საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის პირველადი ვარიანტის შემუშავებიდან ბიუჯეტის პროექტის დამტკიცებამდე ან მას შემდგომ (მაგ. სახელმწიფო ბიუჯეტიდან კაპიტალური ტრანსფერის გამოყოფისას), პრიორიტეტების დოკუმენტით განსაზღვრული შემოსულობების ზემოთ დამატებითი ფინანსური რესურსების მობილიზების შემთხვევაში თანხები ასახული იქნას განახლებულ საშუალოვადიან სამოქმედო გეგმაში.
- 3.მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა 2020/2021 საბიუჯეტო წელს უზრუნველყოს საშუალოვადიან სამოქმედო გეგმაში ცვლილებების შეტანის პროექტის მომზადება.
- 4.დაევალოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ სამსახურს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების დაინტერესებული მხარისათვის ოფიციალური გაცნობა (ოფიციალურად გაცნობად ჩაითვალოს მხარისათვის წინამდებარე ბრძანების ელექტრონული ფორმით, საქმისწარმოების სისტემის (eDocument) საშუალებით მიწოდება).
- 5.კონტროლი აღნიშნული ბრძანების შესრულებაზე დაევალოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს, ბატონ ლაშა ლობჯანიძეს.
- 6.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ბოლნისი, სულხან-საბას №113), მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.
7. ბრძანება ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე.

ზაური ტაბატაძე



მერის მოვალეობის შესრულებელი
ხელმძღვანელობა

